პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— ოქტომბერი 2025 წელი

,,ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 13 მაისის სახელის მიენიჭების შესახებ". ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 სექტემბრის N447 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის -,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივლისის N239 დადგენილებისა და ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ,,ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 13 მაისის სახელის მიენიჭების შესახებ". ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 23 სექტემბრის N447 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა. შეიცვალოს დანართი (რუკა)

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**



გრიგოლ რობაქიძის გამზირი
ბორის პაიჭაძის ქუჩა
ნოდარ ახალკაცის ქუჩა
1:2434

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ეკატერინე ჩანადირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი

ლია ცოცხალაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032527450**
თარიღი: **01/10/2025**

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 სექტემბრის #447 განკარგულებით ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს დინამო თბილისის მიერ თასების მფლობელთა თასის აღების თარიღის აღსანიშნავად მიენიჭა 13 მაისის სახელი.

როგორც დგინდება, განკარგულების დანართზე, (რუკაზე) არსებობს გარკვეული უზუსტობა, რომლითაც სახელდებული სკვერის ნაწილი ფარავს უკვე მინიჭებულ ვიტალი დარასელიას სახელობის სკვერს. არსებული გარემოებების გათვალისწინებით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ტექნიკური ხარვეზის გასწორებას- დანართის ცვლილებას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ საკითხის განსახილველად საჭირო ღონისძიებების განხორციელება თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032527451**
თარიღი: **01/10/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 სექტემბრის #447 განკარგულებით ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს დინამო თბილისის მიერ თასების მფლობელთა თასის აღების თარიღის აღსანიშნავად მიენიჭა 13 მაისის სახელი. როგორც დგინდება, განკარგულების დანართზე, (რუკაზე) არსებობს გარკვეული უზუსტობა, რომლითაც სახელდებული სკვერის ნაწილი ფარავს უკვე მინიჭებულ ვიტალი დარასელიას სახელობის სკვერს. არსებული გარემოებების გათვალისწინებით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ტექნიკური ხარვეზის გასწორებას- დანართის ცვლილებას.
მოგმართავთ თხოვნით, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ 13 მაისის სკვერის შეცვლილი სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი